— რა კარგი ვქენი, რომ მაშინ არ შეგინობული ცეკვები სტარცევი გამოსამშვიდებლათ ზეზე წამოდგრა.

— არა გაქვთ არავითარი სრული უფლება, რომ უვახშოთ მიდიხიარო, — ეუბნებოდა იგან პეტროვიჩი. ეს თქვენის მხრით მამაკვდინებელი ცოდვაა...

როცა სტარცევი ეტლში ჩაჯდა, გადახედა დაბურულ ბალს და განათებულ სახლს, ერთბაშათ გაასხენდა ვერა იოსიონოვნას რომანები, კოტიკის დაუსრულებელი მუსიკა, ივან პეტროვიჩის ხუმბრობა და გაიფიქრა, უკეთუ ამ ქალაქის ცველაზე უფრო ნიჭიერი ხალხნი მდევნათ უნიჭონი არიან, როგორილი იქნება თვითონ ქალაქიო!

სამი ღლის შემდეგ სტარცევს ეკატირინა ივანოვნას წერილი მოუვიდა.

,,რისოვის აღარ გვნახეთ? — წერდა კოტიკი. — მეშინია, რომ ბული შეიცვალეთ ჩევნზე. მეშინია და ამაზე ფიქრიც კი ელდასა შევრის. მოდით, ღვთის გულისათვის, და დამამშვიდეო.

მინდა უეპველათ მოგელაბარაკოთ. თქვენი ე. ტ.“ სტარცევმა, როცა წაიკითხა, ბიჭს ასე უხტრა:

— მასხსენე, გეთაყვა, რომ ღლეს გევრი საქმები მაქვს და ვერ მოვალ. შეიძლება ორი სამი ღლის შემდეგ შემოვიარო-რო-თქ.

სამშა ღლემ კი არა ერთა კვირამაც მოხვთა, მაგრამ სტარცევი იქ არ წისულა. ერთხელ შემთხვევით გაიარა ტურკინის სახლის მახლობლათ, უნდოდა შესულიყო, მაგრამ, ჩატიქრდა და.. აღარ შევიდა.

ამის შემდეგ ის არასოდეს აღარ ყოფილ ტურკინისას.

V

რამოდენიმე წელმა გაიარა. სტარცევი უფრო გასუქდა, უფრო გაიძერა, ძლივს და ქმინავს და, როცა ეტლში ზის, თვი უკანა აქვს გადაგდებული. როდესაც ჩასუქებული და გაწითლებული სტარცევი ზის ეტლში და როცა ასევე ჩასუქებულ-ჩაწითლებული პანტელეიმონი წინ უზის, ცხენებს ერეკება და გაყვირის „გგგზა! მემარჯვნივ!..“ გგონია ეს აღმიანი კი არა, ვიღაცა ცრუმორწმუნების კერპი მოყავთო. სტარცევს დიდ-ძალი შემოსავალი აქვს. ერთი სოფლის მამული უკვე შეიძინა და ქაღაქშიც ორი სახლი იყიდა. ეხლა სურვილი აქვს მესამე სახლი და, როცა „საურთო ერთო კრედიტის ბანკში“ ეტყვიან ხოლმე, რომ ესა და ეს სახლი, ვალში იყიდებათ, ის პირ და პირ მიურიდებლით მიდის ამ სახლში, დაივლის ფეხლე თახებს, არავითარ ყურადებას არ აქცევს ნახევრათ ჩაუცმელ ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც მას განცვიფრებულნი და შეშინებულნი მიჩერიან, სინჯავს კედლებს, კარებს და კითხულობს: ეს კაბინეტია? ეს საწილი-ოთახი? ეს რაღაა?

თანაც სულს ძლიერილებს და შუბლიდან ოფლს იწმენდს.

ქაღაქში ღილი მუშაობა აქვს, მაგრამ სოფლის ექიმიბას იავს მაინც არ ანებებს. სიძუნწემ სული ერთიანათ შთანთქა: უნდა აქაც იქნეს და იქაც. სოფლებშიც და ქაღაქშიც ცველანი „იონის“ უძახია. — , საით მიემგზავრება ჩევნი იონისი? “ ანუ: „არ დაიძახოთ კონსილიუმაზე იონისი? “

სტარცევს ხმა მეტათ გაუწვრილდა და გაუმკაცრდა, აღბათ იმიტომ, რომ მეტის-მეტი ქონი მოაწვა უკლები. მისმა ხასიათმაც ცვლილება ვანიცაზა: დამძიმდა და სრულებით უმნიშვნელო რამეზე გული მოდის. როცა ავათმყოფებს სინჯავს, მეტის შეტაც ცხხლის, ფეხებს აბრახუნებს და უკვირავ ის თავისი უსიმოვნო ხმით:

— გთხოვთ მარტო კითხვებზე მიპასუხოთ! ზედ ჩეტი ლა-
პარაკი სიჭირო არა არის!...

სტარცევი მარტო-მარტო მოწყენილათა ცხოვრობს და
არაფერი მას არ აინტერესებს.

ერთათ ერთი პირველი და უკანასკნელი ტეიარულება,
რომელიც სტარცევმა დელიაქში ცხოვრობის დროს გამოცა-
და, კოტიკის სიყვარული იყო. საღამობით სამეჯლისო დარ-
ბაზი დაიარება ვინტის სათამშოთ, შემდეგ შემოუჯდება ვე-
ებერთელა სტოლს და ვაშაძს შეექცევა. როგორც მოხუცე-
ბულმა მოსამსახური ვანებ, აგრეთვე დარბაზის მამასახლისებ-
ბა და მზარეულებმაც კარგათ იციან მისი ზე-ჩვეულება,
იციან რა უყვარს მას და რა ეჯავრება და ყოველ ღონის-
ძიებას ხმარობენ, რომ რამენირათ ასიამოვნონ.

ვაშმობის დროს ხან და ხან ისიც ჩაერევა ლაპარაკში.

— ა, ვიზე ამბობთ? რაო? ვიზეა?

და თუ ოდესებ ლაპარაკი ტურკინის შესახებ ჩამოვარდა,
ის ყოველთვის იკითხავს ხოლმე:

— ააა, რომელ ტურკინზე ლაპარაკობთ? აი, იმაზე,
რომლების ქალიც როიალზე უკრავს?

ასეთია სტარცევის ცხოვრება. ამაზე მეტს მის შესახებ
ვერაფერს ვიტუვით.

ეხლა ვიკითხოთ ტურკინის ოჯახობა. ივან პეტროვიჩი
არ მოხუცებულა, არც გამოცვლილი და ისევ ძველებურათ
ოხუჯობას. ვერა იოსიფოვნა სტუმრებს თავის რომანებს უკი-
თხავს. კოტიკი ყოველ დღე ათხო საათი როიალს უკრავს.
ის ძალზე მოხუცდა, ვეათმყოფობს და ყოველ შემოდგომაზე
დადასთან ერთი ყირიძი მიდის ხოლმე.

ივან პეტროვიჩი მუდამ აცილებს ცოლშვილს რეინის
გზის საღვურამდე და, როცა მატარებელი დაიძერის, ცრემ-
ლების წმენდით ცხვირსახოეს უქნევს და გაყვირის:

— მშვი-დობით, მშვიდობით, ჩემო კარგნო!

ოლომპიადა ბაქრაძე.

დ. ყვირლა.

ქურნალუ აზერბა ზე თებიდან.

„De mortuis aut bene aut nihil“ ამბობს ლათინური
თქმულება და ამაზე ცვლა შეთანხმებულა ჯერ-ჯერობით,
მაგრამ საქმე ის არის, რომ ერთის მოსაწონი და საქები მეო-
რეს თვალში სულ სხვას წარმოადგენს. გავიხსენოთ თუ გინ-
დათ სულ უკანასკნელი მოვლენა რუსეთის ცხოვრებიდან. დი-
დი ვატივისცემით და ალტაცებით იდლესასწაულა რუსეთის
საზოგადოებამ თავისი გენიოსი მწერლის, გოგოლის გარდა-
ცვალების 50 წლის თავი. ის საამაყოთ მიაჩნია რუსეთის ერს
და აქვს კიდევ საფუძველი. ყველა მაზე კარგს ამბობდა და
კარგის თქმაც უნდოდა, მაგრამ, რადგანაც ყველის თავისი
გემო აქვს, — ერთი ერთში ხდეავდა მის ძალის და ღირსებას
და მეორე — მეორეში. მაგ. «МОСК. ВѢД». სწორეთ ის წე-
რილები და ნაწარმოებები წამოყენებს პირველ ადგილზე,
რომელთაც საზოგადოება არც კი იცნობს და რომელნიც
უარყოფენ გოგოლის ნაძღვილ ხელოვნურ ნაწარმოებთ, — რო-
მელშიაც ის ერთი დაავადებული მისტიკისი და მეტი არა-
ფერი; ხოლო შეცდომებათ ჩაუთვალი ის ნაწარმოებნი, რო-
მელშიაც გოგოლი თავისი მშვავე კალმით სრული სინადგა-
ლით ახასიათებს თავის დროის ცხოვრების, რომლებისთვისაც
მართლა თაყვანს ცემს მკითხველი საზოგადოება. რას იზამთ,
ყველაფერი გემოვნების საქმეა.

აი, ამ გემოვნების შედეგია ისიც, როგორც «Нов. Об».
კორესპონდენტი გვატყობინებს (№ 6220), რომ განსვენებუ-
ლი კ. პ. იანოვსკის საქებელ-საღიდებელ მასალათ მეტი ვე-

რაფერი მოუხსენებია ბ. სელივანოვს პეტერბურგის პეტავი-
გური საზოგადოების 2 ნოემბრის სხდომაზე, გარდა იმისა,
რომ კავკასიის ყოფილ მზრუნველს სასწავლებლებრდენ დაფი-
ლობრივი ენები გამოუძევებია. განსაკუთრებულ ფირჭებათ
და ღვაწლათ ის მიაჩნია ბ. სელივანოს, რომ ბ. იანოვსკი
სძლია და დასთურება „გრუზინიზმი“ და „პანგრუზინიზმი“,
რადგან მისი სიტყვით ქართველების სდომებიათ თურმე მთელი
გავგასის გაქართველება (?!).

მართალია, ქართველობას არ ახსოებს ასეთი ტენდენცია
თავის აზროვნების მიმდინარეობაში, მაგრამ ბ. სელივანოვს
,,14 წელი უცხოვრია კავკასიაში, აღმა-დაღა“ დაუვლია
იგი“, და ამიტომ დავუჯერებდით კიდეც, რომ მის წინაალ-
მდეგ ის ღაღადებდეს მთელი ჩვენი ისტორია. მართლაც და,
განა წარმოსაღებენია, სხვის გაქართველების შედგომიდა ის
ერთ, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მხოლოდ თავის
დაცვას ანდომებდა? ან დღეს, ან რომელიმე თოთხმეტი
წლის განმავლობაში შეეძლო ქართველობას ეფიქრნა ზაინც
სხვათა გაქართველებაზე, თუნდ ჩვენ დორშიაც კი, როცა
თვით თავისი ფიზიონომია და ეროვნული სახე განსაცდელ-
ში ეგულება? მაგრამ ამისთანა კითხვებზე ბ-ნი სელივანოვი
როგორ შეაჩერებს თავის ყურადღებას, როცა მას იმაზედაც
კი არ უფიქრია და 14 წლის განმავლობაში ვერ დაუნახავს,
რა არიან და ვინ არიან გურულები და მეგრელები. მისი
აზრით ქართველების „პანგრუზინიზმი“ იმაში გამოიხატა,
რომ „გურაში და სამეგრელოში ქართული ენის შემთხვება უნდა-
დათ“. რა უნდა მოვთხოვოთ იმ კაცს, რომელიც ასე კარ-
გათ იცნობს ჩვენ ქვეყანას (არ დაივიწყოთ, მას ეს მხარე
აღმა-დაღმა მოვლილი აქვს), რომ გურიაში ქართულ შემო-
სალებათ მიაჩნია!.. არა ბ-ნი სელივანოვი! თქვენ ცილს
სწამებთ განსვენებულ იანოვსკის, ის ბევრათ თქვენზე პევი-
ნი კაცი იყო, და არასოდეს ისე არ დაბრმავდებოდა, რომ
გურიაში ქართული „შემოსალებათ“ მიეჩნია, არც თქვენ
მიერ მოვნებულ „პანგრუზინიზმს“ დაინახავდა საღმე, და
თუ სკოლებიდან ქართული გამოიაძეა სხვა მოხახრებით და
არა „პანგრუზინიზმის“ დასამარცხებლათ, რადგან ასეთი
არასოდეს არ არსებულა და იანოვსკიც ქარის წისქილებს
ძვირათ ებრძოდა. აქ მეტათ მიგვაჩნია იმისი თქმა, თუ რა
მიზანს ემსახურებოდა ბ. იანოვსკი, როცა ქართულს და სხვა
ადგილობრივ ენებს აძევებდა შეკოლებიდან, მაგრამ ის კი
უნდა გითხრათ, რომ ამ გაძევებას ბევრი არავინ ჩაუთვრის
აქტივში, თუ იგი მარტოდენ პედაგოგიური მოსაზრებით
არ იყო გამოწვეული ბევრი იქნებოდა ამავე აზრის თვით ბ.
სელივანოვის მსმენელთაგანაც და, გვიკვირს, რაღა ამ სადაც
და სათუო ლიტების და ღვაწლის ჩასქიდა ხელი ბ. სელივა-
ნოვმა. სამწუხაროა თუ მეტი არაფერი ღვაწლი მიუძღვის ბ.
იანოვსკის კავკასიაში!..

* * *

ახირებული ვარსკვლავები ამოდის „ცნობის ფურცლის“
ცაჟე საზოგადოთ და ნამეტურ ამ ბოლო ხანებში. უკანას-
ნელი ღრმის ვარსკვლა ვები არიან პირველი ბ-ნი Spectator-ი,
რომლის სხივოსნობამ ერთობ მალე იყლო... მეორე
არია ბ. ახალი ორავარსკვლავი, რომელიც „ცნ. ფურც.“-ის
მკითხველებს აცნობს და უზიარებს თავის „ნახულს, გაგო-
ნილს და ხან წაკითხულსაც“. მისი უკანასკნელი წერილი,
არ ვიცით ვასთვის არის დაწერილი, ან რა მიზნით (იხ. № 1982). ის უსავევდურებს ვიღაც „ოპტიმისტ მოლვაზებებს“,
რომ უკანასკნელთ „ვერ მოუნახავთ ქების სიტყვები“, „მკვირ-
ცხლის იმერის“, „საღილებრივის საზოგადოებაზე“ აასებენ
კავკასიაში „საღილებრივის საზოგადოებაზე“ აასებენ
და შემდეგ გადაიღის ჩვენი მასაზრის და სასწავლებლე-
ბის უგარესისობაზე, იქ შემოღებულ არა-პედაგოგიურ მე-

თოდზე და სხ. ვიმეორებთ, ვერ გავიგია, რომელ „ოპტი-
მისტ მოღვაწეებზეა“ მიმართული ეს საყვედური ამ პესი-
მისტ მოღვაწისა, ან რა შუაშია აქ „იმერის სიმკირცელე“
და მისი სწავლის წყურვილი. დაგვისახელოს ამ ორ-თვიანმა
ვარსკვლავმა თუნდ ერთი „ოპტიმისტი ან პესიმისტი მოღ-
ვაწე“, რომელიც ამართლებდეს ან თანამედროვე შეკლას
და ან მასში არსებულ მეთოდს, გარდა იმ გაიძერა პრაქ-
ტიკ-კარიერისტებისა, რომელნიც საზოგადოებაში ერთს ამ-
ბობენ და საცა ჯერ არს-მეორეს. ორი თავი კი არა ნახე-
ვარიც საკმაოა, კაცმა გაიგოს, თუ ხალხში სწავლის
წყურვილი იმდენათ ძლიერია, რომ ის უვარების სკოლის-
თვისაც კი არას ზოგავს, არც ხარჯს, არც შრომას, კარგისა
და რიგიანისთვის კიდევ მეტს იქს, და უმჯობესი იქნება „ცნ.
ფურცლის“ ვარსკვლავებმაც და მზემაც იქით მიმართონ სა-
უვდეური, საიდანაც სიბძელე მოდის და არა ხალხისაკენ,
არა „მკეირცხლ იმერისაკენ“, რომელიც ყოველ ღონეს ხმა-
რობს ბეჭედს თვით დაახწიოს. რა მოსატანია აქ იმერლობა
და ოპტიმისტი მოღვაწეები?! ნუ თუ ისიც იმერლების ბრა-
ლია, რომ „ერთ დაწინაურებულ და პროგრესის გზაზე
მდგრმარე სოფლის მასწავლებელს სამუშაბლოთ თავისი სო-
ფელი მოუჩნევია? განა იმერლი ამზადებს და აყნებს აღ-
გილზე ასეთს «შეგნებულს» მასწავლებელს? არა, ორთავა ვარ-
სკვლავო, აშისი მიზეზები იმერეთსა და იმერლის გარეშე და
იქით მიაპყირით თქვენი სხივები...

სამეურნეო საზოგადოებაში

ჩვენი მიძინებული სამეურნეო საზოგადოებაც გამოაღ-
ვიძა სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესეობის ზომების გამო-
ძენამ და სამართალი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საკმაო
სინიდისიერებით და გულმოდგინეობით შექდა იგი ამ კით-
ხების გამორკვევას. ჩვენ თავის ღროზე აღვნიშნეთ, თუ რას
უნდა მოველოდეთ საზოგადოთ სასოფლო კომიტეტებისაგან
და კერძოთ ჩვენში დაარსებულთაგან; კიდევ უფრო დაწვ-
რილებით და დალაგებით გაირჩევა ეს კითხვები ჩვენ გაზეთ-
ში და ამიტომ აქ მხოლოთ სამეურნეო საზოგადოების კრე-
ბაზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი „
სამეცნიერო“ საზოგადოება და მისი წევრები საქმით მეც-
ნიერები იყვენ, მაგრამ ვიმეორებთ, ის ამ დიდ-მნიშვნელოვან
საქმეს, რამდენათაც კი შეუძლია, სერიოზულათ ეკიდება.
ყოველ მოხსენებას ყურადღებით ისმენს და არჩევს. საქმის
ასეთმა დაკარგებამ ინტერესი აღუძრა საზოგადოებასაც და
დღემდის არა მეურნეთა უსიცოცხლო სამეურნეო საზოგადო-
ება გამოცოცხლდა და საინტერესო შეიქნა; მის კრებებს
საკმაო გარეშე მაყურებლები ესწრებიან და შეძლებისა
და გვარით მონაწილეობასაც იღებენ საგნის გამორკვევაში.
ეს აიხსნება უმთავრესათ რასაკერველია თვით კითხვების
მნიშვნელობით. ჩვენი მეურნეობა კარგა ხანია გაჭირვებაშია
ჩავარდნილი. კრიზის განიცდის. გაჭირვებაშია გლეხი და
თავადი, წვრილი და სხვილი მემამულე, და კველას აინტე-
რესებს, რა წამალს გამოუძებნის ამ სენს ჩვენი სამეურ-
ნეო საზოგადოება, რომელიც ასე თუ ისე უფრო ახლო
დგას საქმესთან, ვიდრე ადგილობრივი საგუბერნიო კომიტე-
ტები. ვერ ვიტყვით, რომ ყველა სამეურნეო საზოგადოების
მიერ ნაჩვენები ზომები მულებულ იქნენ მხედველობაში და
განხორციელებული; შეიძლება ძლიერ მკირე პრაქტიკული
მნიშვნელობა ექნეს მათ შეამდგომლობას, არც არც ჩვენ
გვაკერვებს და არც თვით „საზოგადოებას“, რადგან ამას
შეჩვეული ვართ; კიდევ რო მიიღონ ყველა ზომები, რომელ-

თაც აქედან უწევნებენ, მაშინაც ნუ წარმოიდგენთ განმატე-
ნოს ყოველივე სენისაგან სასოფლო მეურნეობა, რადგან
ყოველივე ის, რასაც ჩვენში მოწიწებით თხოურუტენტ უნდა ე-
გან უვე განხორციელებულია, მაგრამ არცეუტებული უსტე ე-
სასურველათ. შეგვიძლია მხოლოთ ვთქვათ, რომ ყოველივე
რაც ჯერ-ჯერობით აღნიშნა სამეურნეო საზოგადოებამ
საჭირო და აღსანიშნავი იყო.

ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ, რომელც ბევრმა რუსე-
თის კომიტეტებმა, ფართოთ შეხედა კითხვას. თავ-და-პირვე-
ლათ მან აღნიშნა მთავარი კითხვები, მთავარი პირობები
ხალხის ცხოვრების განვითარებისა და წინ წამოაყენა საზო-
გადო პირობები, რომელნიც ხელს უშლიან ცხოვრების ნორ-
მალურ მიმდინარეობას. ასეთებათ მიგვაჩნია ჩვენ ხალხისათვის
თავისუფალი ინაციატივის ნების დართვის საჭიროება, სწავ-
ლა-განათლების საქმის რიგიანათ დაკარგება, საზოგადო შეკ-
ლის სხვა და სხვა ზედ-მეტ ბარგისაგან განთავისუფლება,
თვით სამეურნეო ცოდნის გავრცელების რიგიან პირობებში
ჩაყენება, მისი უცოდინაა. თავის სპეციალისტების ხელში გა-
დაცემა, სამართლისა და კანაზ-მდებლობის შესახები კითხვე-
ბის იურიდიული საზოგადოებისადმი გადაცემა და სხვ.

მეტათ საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველებისთვის
ამ სხდომების დაწვრილებითი ანგარიშის გადმოცემა, რადგან
იქიდან აშკარათ დაინახავდით რა და რა მიმდინარეობა არსე-
ბობს ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ ეს ვერ მოგვასტრებდა დღემდინ
და ამიტომ ნაკლებით უნდა დაკარგოდეთ.

მეტათ საინტერესო ხასიათი მიიღო კამათმა სამეურნეო
განყოფილებათა შესახებ, რომელნიც არსებობენ პირველ-
დაწყებით სკოლებთან. სამეურნეო საზოგადოების საბჭო,
განსაკუთრებით ამ საქმისთვის არჩეული კომისია და კრების
ლიდი უმრავლესობაც, იმ დასკვნაზე იღებენ, რომ თანამედრო-
ვე სამეურნეო განყოფილებები სახალხო სკოლებთან ვერ
არიან რიგიანათ მოწყობილი, ვერ ემსახურებიან თავის მი-
ზანს და სარგებლობის ნაცვლით მხოლოთ ზიანი თუ მოაქვთ
თორებ მეტი არაფერით. ამ ზიანს ხედავდენ ორი მხრით:
ერთი იმაში, რომ ჩვენმა გლეხმა ბევრით უკეთ იცის მეურ-
ნეობა ვიდრე სოფლის მასწავლებელმა და ისეთ კაზზე სამე-
ურნეო ცოდნის გავრცელების საქმის მინდობა ავტორიტეტის
უკარგვის ხალხის თვალში მეცნიერულ სისტემის მეურნეობი-
სას, და არა ხელს ლწყობს მის გავრცელებას. მეორე და კი-
დევ უფრო საგრძნობელ ზიანს ხედავდენ იმაში, რომ ამ ზედ-
მეტი დავალებით მასწავლებელი რიგიანათ ვერ უძლება თა-
ვის პირდაპირ დანიშნულებას, საზოგადო სწავლის საქმეს,
შეკლა ვარდარებარ მიდის, რაც იმითაც მტკიცებული უსტე ე-
სამითა საკმაოთ ფერხდება, რომ აქ სწავლების საქმე უფრო
გართულებულია, რადგან გაუგებარ ენაზე წარმოებს და სხ.
ამ კრიტიკამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ საჭირო შეიქნა ბ.
პრეზრენზიკოვის ჩარევა, რომელიც საერო გან:თლების სამი-
ნისტროს სახელით ლაპარაკობდა ის იცავდა თანამედროვე
შეკლის და აღნიშნა მისი ლვაწლი მეურნეობის განვითარება-
ში, მაგალით მებრძეშებების და მეფუტკრეობის გავრც-
ლება ამ ბოლო ხანებში. სხვებმა კი ეს მოვლენები ახსნეს
უფრო სიმინდის მაზანდას დაცემით (კითხვა იმერეთს შეეხ-
ბოდა) და რა კი მისი დამუშავებება საზარალო შეიქნა, ხალ-
ხიც მეურნეობის სხვა დარგს ეკიდება თანდათანო, ამას მოწ-
მობს სიმინდის მაზანდას დაცემით (კითხვა იმერეთს შეეხ-
ბოდა) და რა კი მისი დამუშავებება საზარალო შეიქნა, ხალ-
ხიც მეურნეობის სხვა დარგს ეკიდება თანდათანო, ამას მოწ-

საქმე მოგებული დარჩება თუ სახალხო სკოლა მარტო თავის დანიშნულებას ემსახურება, სამეურნეო ცოდნის გაფრცელება კი სპეციალისტების ხელში გადავარ, სასოფლო სკოლასთან იქნება იგი თუ ქალაქისასთან და ეს რეზოლუცია მიიღო კრებამაც.

მეორე საინტერესო კითხვა აღძრა ბ. გ. უურულის მოხსენებამ—კომპერაციების შესახებ. ბ. უურული ცდილობდა დამტკიცებია სასოფლო სახეურნეო კომპერაციების ნაყოფიერი გავლენა სასოფლო მეურნეობაზე უმთავრესათ ევროპის მაგალითებით, რადგან ჩვენში ორგანიზაციის ეს ტიპი მხოლოთ ახლა იკიდებს ფეხს. მან გააცნო დამსწრე საზოგადოებას იმათი ზრდა-განვითარების ისტორია, მოიხსენია ჩვენში ასეგბული ამხანაგობებიც და ყველა ამიდან შემდეგი დასკვნა: „საკომპერაციო საზოგადოებებმა, როგორც ეს დასავლეთ ევროპის პრაქტიკიდან ჩანს, დამტკიცეს თავისი ცხველმყოფელობა და სარგებლობა განსაკუთრებით სასოფლო-სამერჩენეო სფერაში. ამგვარ საზოგადოებათა დაარსება კავკასიაში, გარეშეთა დაუხმარებლათ, ერთი მხრით გვიმტკიცებენ, რომ მათი საჭიროება ჩვენშიც მომწიფდა, მეორე მხრით ჩვენ ქვეყანაშიც მომზადებულია ის ნიადაგი, რომელზედაც შესაძლოა აღმოცენდეს ამ დაწესებულებისთანა სასარგებლო მოღვაწეობა. კომპერატიული დაწესებულებანი რომ უფრო სასარგებლოთ გამოვიყენოთ და უზრუნველ კუთხით მათი ნორმალური განვითარება, საჭიროა გვაძლიეროთ ჩვენში კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა, საჭიროა გამოიცეს სათანადო კანონები, რომელნიც მფარველობას უნდა უწევდენ კომპერაციებს.

ყველა ამის შინაღწევათ საჭიროა, რომ სიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოება უფრო პრაქტიკულ გზას დაადგეს და თავის თავზე მიიღოს პროპერენდა, დაარსება და ხელმძღვანელობა ადგილობრივ კომპერაციებისა, როგორც ეს მოიმოქმედენ დასავლეთ ევროპის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებმა. თუ ამ პრატის განსახორციელებლათ საზოგადოების წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა დაგვჭირდება, აღიძრას ამის შესახებ სათანადო შემდგომლობა; აღმრულ იქნას აგრძელებ შუამდგომლობა განსაკუთრებულის საბჭოსა ან სხვა დაწესებულების საშუალებით იმის შესახებ, რომ მთავრობამ უფრო ახლო მონაწლეობა მიაღებოს ჩვენს ტინასიურ უწყებას კომპერაციების სვე-ბედის საქმეში. აღიძრას შემდგომლობა იმის შესახებაც, რომ გამოიცეს სათანადო კანონები, რომელნიც გაადვილებენ ახალი ტიპის კომპერაციების დაარსების საქმეს, რათა ამით მეტებს საშუალება წვრილ მემანულებეს შეადგინონ ასხანაგობანი, რაც ასე საჭიროა ჩვენთვის, რადგან ჩვენი მხარე წვრილ მიწათმფლობელის მხარეთაა განსაკუთრებით მიწნეული“.

ასეთი იყო პრაქტიკული დასკვნა ბ-ი უურულისა და ამის წინააღმდეგი არავის არაფრი ქონია და არც ექნება, რადგან სასოფლო მეურნეობის გაჭირება დღეს სადაც არ არის; თუ კი რითმებ შეიძლება მისი გამობრუნება, თუ კი რამე შეამსუბუქებს მის ტევილებს, ამისი წინააღმდეგი, რასაკვირველია, არავინ იქნება. ვეთანხმებით მხსენების ავტორის, რომ მთავრობა ვალდებულია დამბარება გაუწიოს სასოფლო მეურნეობას, რითაც კი შეიძლება, ნამეტურ კომპერაციების დაარსებით, მათთვის კრედიტს კახსნით, უფრო მეტი თავისუფლების მინიჭებით მათ დაარსებაში; რადგან მთავრობას ყოველთვის შეუძლია თავისი დამბარება უზრუნველ ყოს წევრების ქონებით, ხოლო ყოველი ბიჯი საზოგადო ინიციატივის გაფრთხოვებისაკენ წინ-სელის მაჩვენებელი და თავდებია. ამ მხრით, ვიმეორებთ, ყველა დაუჭრეს მხარე მომხსენებელს, და ასე მოხდა სამეურნეო „საზოგადობაშიც“.

არც დიდ კამათს გამოიწვევდა კომპერაციების კითხვა, რომ თეთვი იყრიორს მეტათ ფართოთარ დაეყყნებია კითხვა და თან გზა-და-გზა ისეთი აზრები არ წარმოეთქვა, რუსულნებულ რომ არა ვთქვათ, დიდი სითამამის მამხსილებელულ ურენაწესები ალითათ ავტორმა ისიც კი თქვა, ვითომ ევროპაში ქალაქიდან სოფლისკენ გაწეულიყოს ხალხი (ბელგიაში).

მეორე არა ნაკლებ თამამი და გაბედული აზრი იყო, ვითომ წარსულსა და აწყვის ის ტენდენცია ეტყობოდეს, რომ სოფლის მეურნეობაში მომავალი საშუალო და წვრილ მეურნეობას ეკუთვნოდეს, თუმცა ისიც მოიხსენია, რომ ზოგიერთი ავტორიტეტები წინააღმდეგ ფიქრობენ. ის უმთავრესათ ამ ხასიათის ნათქვამებმა გამოიწვია წარსულ სხდომაზე მკირეოდები თეორეტიული შენიშვნები, რომელთაც ყველ შემთხვევაში ნათელ ყვეს, რომ ეს კითხვები თუ მომხსენებელის წინააღმდეგ არა, არც მისი აზრის სასარგებლოთ არიან გადაწყვეტილ მრავალ პრაქტიკულ შენიშვნათაგან ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოთ რამდენიმეს, რომელთაგან პირველი აღგილი უნდა დაეთმოს იმ მოსაზრებას, რომ ჩვენში სხვა და სხვა მიზეზთა გამა იმდენი უკულ ტურო ხალხია, რომ ვერ მოიკიდებს ფეხს ხენებული კომპერაციებით. ყველი კითხვის გადაწრაში თავდაპირველით უნდა მოვიგონოთ, რომ ჩვენ მხარეს სჭირია განათლება და მეტი დამოუკიდებლობა საოჯახო საქმეების მოგვარებაშია, ამბობდენ ზოგიერთი რპონენტები. მოსახლეებელია კიდევ ერთი პრაქტიკული შენიშვნა, რომელიც, ეგრე ვთქვათ, კომპერაციების ბუნებრივ სენს ექვებიან: ამ კომპერაციებშიც მონაწილეობის მიღება უფრო შეძლებულ ელემენტებს ეხერხებათ და ეს რასაკვირველია ბევრათ ამცირებს კომპერაციების მნიშვნელობას. აღარ გამოუდებით დაწვრილებით ანგარიშს, და იღვნიშნავთ მხოლოთ ერთ ნაკლს, რომელიც არ უნდა მოილოდა საზოგადოებას—ის არ შეჩერებულა კითხვაზე, თუ რომელი ტიპის კომპერაციები უფრო სამედოო არიან, ღირდა კი ამაზე შეჩერება. დასასრულ მოგიყანონ ერთი არატორის სიტყვებს, რომლითაც მან მიმართა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, და რომელთა მოგონება ყოველთვის საჭიროა. „თვეში ბრწყინვალებავ, თქვა მან, მე მგონია უმთავრესი ცდა და მიზანი საზოგადოებისა იქაში მდგომარეობის, რომ დაყაგრულ, დაავადებულ წვრილ მეურნეობა მიეშველოს, ე. ი. ეს მეურნე წარმოადგენს ავათმყოფს, რომლის განკურნვასაც ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ ერთი კი გვავიწყდება—თვით სწეულის ნახვა, გასინჯვა და გამოკითხვა, თუ რით არის ავათრი ტკივია და რა აწუხებს. არ იქნება ურიკო, თვით იმათ შეეკითხებოდეთ, თუნდ მაზრობით, რა არის მათი თავი და თავი ტკივილი და შემდეგ შეუდგეთ დიაგნოზის დადგენას და წამლის მოპოებასონ“.

კრებამ რეზოლუცია მიიღო: 1) აღიძრას შეუმდგომლობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წინაშე ისეთის ბიუროს დასასარებლოთ, რომელმაც კომპერაციის საქმე უნდა იყისროს; 2) ეთხოვთ უმაღლეს მთავრობას დაარსებულ იქნეს კავკასიაში ერთი მთავარი საკრედიტო დაწესებულება და 3) ეთხოვთ მთავარი მთავარი გამარტივებულ იქნეს ის კანონდებულება და წესები, რომელიც კომპერაციატიულ ამხანაგობათ დაარსებას შეეხებიან.

შილოლერის ბორზის მირითადი თვისებანი.

(შემდეგი *).

აღამიანის ბუნების ძირითად თვისებას რომ აღამიანისადმი სიყვარული შეადგენდეს, როგორც ეს შილოლერს სწამდა, ცხოვრება გაცილებით უკეთ იქნებოდა მოწყობილი და სა-

*) იხ. „კვ.“ № 45.

ზოგადოებრივი ურთიერთობა გაცილებით უფრო ზნეობრივი, უფრო ჰემანიური, ვიდრე დღეს არის. შილლერის რწმენაზე ადამიანის ბუნების შესახებ დიდი გავლენა ქონდა რუსსოს მთელ მსოფლიო უეხედულობას. თუ რუსსოს სწამდა, რომ ადამიანი საზოგადოებამ დამდაბლა, თორემ ბუნებრივ პირობებში ის მხოლოთ კეთილი იყო, სიკეთე და სიყვარული შილლერის შეხედულებით ყოველ ადამიანშია. ერთის მხრით პიეტის ამგვარი რწმენა იყო მიხეზი მისი ენტუზიაზმის, აღტაცებული და მომხიბლავი იდეა ლიზმის. ადამიანი შედეგია რული და ხანგრძლივი ისტორიული და მასთან ბუნებრივი პროცესის. ბუნებაში მას მხოლოთ ბრძოლა ხდება არსებობისათვის,—არსებობისათვის ბრძოლამ კი მაში გააღვივა, გააძლიერა თვისი თავისადმი სიყვარული—ეგოზმი. ისტორიულმა პროცესმაც ადამიანს იგივე არსებობისათვის ბრძოლა არგუნა წილათ; აქაც ადამიანის ეგოზმის განვითარებასა და გაძლიერებას უწყობდა ყოველივე ხელს. რა მხრითაც უნდა შევხდომ დღევანდელ ადამიანს, ჩვენ მასში დავინახავთ უმთავრესათ ეგოსტს. რაღანაც „გულს გაელი იცნობს და ლონეს ლონე“⁴. არსებობისათვის ბრძოლამ ისტორიული პროცესის განმავლობაში ადამიანთა შორის ერთგვარი შერჩევა გამოიწვია: კლასებათ დაყოფა; დაარცხებული დამარცხებულს ეკედლება, რომ შეერთებული ძალით წელი გაიმაგროს, გამარჯვებული კი გამარჯვებულს ეკედლება, რომ გაძლიერებული ლონით თავისი მდგომარეობა და უპირატესობა დაიკვის. ამგვარმა მიკედლებამ დროთა განმავლობაში გააღვივა ადამიანში ერთგვარი რთული გრძნობა—ალტრუზიზმი. მაგრამ თუ ავწონ-დავწონით დღევანდელ ტიპს ადამიანისას, დავინახავთ, რომ ადამიანი უმთავრესათ თავის-კერძა, ეგოზმი მასში გაცილებით ფრთხო ძლიერია ალტრუზიზმე, მისი უნთავრესი მცნება—ჯერ თავი და თავია. ჩემის აზრით თვით ალტრუზიზმი გამოიწვია და განავითარა ადამიანში პირადმა სარგებლობამ, ეკოსისურმა ინსტიქტები; დიდია ეს სიყვარული თუ პატარა, ადამიანი ზოგიერთ შემთხვევებში მანიც იჩენს მოძმისადმი თანაგრძნობასა და სიყვარულს; რაც შეეხება მოელ კლასს, მის ნიშნობლივ თვისების მხოლოთ ეგოზმი შეაღვენს.

საზოგადოებრივი კლასისათვის, ვიდრე კლასებრივი ბრძოლა არსებობს ცხოვრებაში, ალტრუზიზმი არა თუ საჭირო არ არის, ფრით მავნებელია; მიტომაც კლასის ფსიქოლოგია ალტრუზიზმს, სიყვარულს, თანაგრძნობას სრულებით მოკლებულა; რომელი კლასიც უნდა აიღოთ ცხოვრებაში, დარწმუნდებით, რომ ის მხოლოთ ეგოისტია, არც მეტი არც ნაკლები. მიუხედავათ ყოველივე ამისა ხშირათ ერთი კლასის ეგოზმი სამართლიანია, პატივისადებია, მეორისა კი უსამართლო, ჩასკოლავი. სამართლიანი ეგოზმი ერთსა ხდის ისტორიაში სიმპატიის უკარგავს. ამის მიხეზი აშკარაა: დაჩაგრული ადამიანი და მით უმეტეს დაჩაგრული კლასი, რაც უნდა ეგოისტი იყოს ის, მანიც თანაგრძნობას იწვევს იმ ადამიანში, რომელსაც კი რისმე თანაგრძნობა შეუძლია; დაჩაგრული კი ზოგიერთ შემთხვევაში ალტრუზისტიც რომ იყოს, მანიც ვერ მიიჩიდავს სამართლიანობის მოყვარულს მარტო იმიტომ, რომ ის დაჩაგრულია. ვიდრე ადამიანი ან რომელიმე კლასი იბრძეის თავისი ადამიანური უფლებისათვის იმდენათ, რამდენათაც ამას ითხოვს საერთო თანაწორი და ბედნიერება, როგორც ის—ისე მისი ბრძოლა მხოლოთ სიმპატიურია, მხოლოთ თანაგრძნობისა და დახმარების ღირსია; როდესაც ადამიანი ან კლასი იცავს მხოლოთ თავისი უპირატესობას, თავის პრივილეგიებს და იბრძეის უთანასწორობის განსამტკიცებლათ, ის ყველაფ-

რის ლირსია გარდა თანაგრძობისა. მკითხველი აქედან ფავისთავით მიხედვისა, რომ ერთი და იგივე ისტორიული სი უმეტეს შემთვევაში სიმპატიურიც არის, არა სიმპატიურიც: ვიდრე ის უფლებების მოსაპირებლით იპარვის უწინულესობის როდესაც ის მოპოდებული უფლებებით უპირატესობის და უთანასწორობის ამყარებს, თავისი სიმპატიურების სამუდამოთ კარგავს. ისტორიამ ჯერ არ იცის არც ერთი საზოგადოებრივი კლასი, როდესაც ოჯახებ მანიც არ ეცვალოს ქერქი. ყოველ კლასს იწვევს ცხოვრებაში ბრძოლა; ახლა დაბადებული კლასი ითხოვს: მეც მომეციო უფლებანი, მეც გამითანასწორებო; როდესაც ის ძალას მოიცვეჭავს, მაშინ უკვე ბოხის ხმით გაიძახის: უფლებანი და თანასწორობა არავინ მოითხოვოთ.

რაც ითქმის საზოგადოთ კლასზე, იგივე ითქმის ბურეუაზიაზე ანუ შესამე წოდებაზე. როდესაც ისტორიულმა პროცესმა პირველით აღმოაცენა ის საზოგადოებრივ ნიადგზე, ის ვერავინ ვერ იცნო, მას არავინ არ მიაქცია ყურადღება. ცხოვრებას მაშინ ყავდა სამი კანონიერი შვილი: თავადაზნურობა, სამლევდოლება და გლეხეცობა. მთელი საზოგადოებრივი უფლებანი არისტაკრატიას და სალვადელოებას ჩაეგდო ხელში; ეს ორი ერთათ წარმოადგენდა გაბატონებულ კლასს, რომელიც კისერზე ჯდა ვლეხობასა და მისი ოფლით ფუფუნებდა. კანონი, ჩვეულებანი ამ ორი კლასის საურთეერთო ვანზულობილებაზე იყო გეგებული; მესამე წოდება ამ გვარათ კანონისა და უფლებათა გარეშე დაიბადა: კანონისა ის ვერ იცნო, უკლება მას არავინ არგენა,—მას თავისი ხელით უნდა მოპოდებია თავისი უფლებანი და ამ უფლებათა დამცელი კანონიც. სანამ ის ერთსაც და მეორესაც მკლებული იყო, ის მსხვერპლი იყო ყველგვარი უსამართლობა და ძალმომრებობა საჯაროთ, საქვეყნოთ დაჰგმო, ის თანაგრძნობისა და შველის ღირსი იყო, რაღანაც საქვეყნო საქმის სამსახურს შეუდგა. როდესაც ის ხმლით ხელში გამოვიდა, რომ ძალმომრებობა შეემუსრა და ცხოვრებაში სამართლიანობა, თანასწორობა და თავისუფლება დაემყარებია, ის სათავაზონებელი, სადიდებელი შეიქნა. ბრძოლა გათავდა, გასისხლიანებული ხმალი ძირი დაევცა, მაგრამ გაიმარჯვა მხოლოთ მან—მესამე წოდებამ და არა სამართალმა, თანასწორობამ და თავისუფლებამ. გამარჯვებულმა ბურუაზიაში ხელთ ჩაიგდო უპირატესობანი, ბატონია, იკისრა დამჩაგვრელის როლი, —უარყო ყოველივე ის წმიდა, რისი სახელითაც წინეთ იბრძოდა და ი სწორეთ ამ დღეიდან იწვება მასი დასაგმობი მოღვაწეობა, ამ დღიდან ხდება ის ზიზლისა და სიძულვილის ღირსი. რა არის დღეს ბურუაზიაში ევროპაში? უსამართლობის ძალი, ძალმომრებობის მოსარჩევ, დაჩაგრულისა და ექსპლოატაციის მედროშე. რა იყო ბურუაზია მე-XVIII საუკუნეში? სამართლიანობის მოტოფიალე, ძალმომრებობის მტერი, თანასწორობისა და თავისუფლებასათვის თავგამოდებული მებრძოლი. მაშინ იყო ის მხოლოთ სიმპატიური, მაშინ თანაუგრძნობდა მას პატიოსანი და კაცოვარებრივი აზრებით გატაცებული შილლერი.

ერთ წერილში ვამბობდი: შილლერმა შექმნა გერმანიაში ბურუაზული დრამა მეთქი. თუმცა ბურუაზული დრამები უკვე ლესინგმა შეძინა გერმანიის სკენას შილლერმადე, მაგრამ გერმანიის თეატრის საუკეთესო ბურუაზულ დრამებით შილლერის „ლურზა მილოერი“ ითვლება.

ამ პიეტაში აშკარათ გამოხატა პოეტმა ერთის მხრიის

მესამე წოდების ღირსებანი, მეორე მხრით არისტოკრატიის ნაკლულევანებანი და მესამეთ თავისა უქედულებანი ამ ორი სხვა და სხვა წოდების შესახებ.

ამ პიესების შინაარსი უქმდება: პრეზიდენტი ფონ-ვალერი ურის შვილს ფერდინანდს უყვარს უბრალო მემჭვიერე მიღლერის ქალიშვილი ლუიზა. პრეზიდენტი წინააღმდეგია ამგვარი ქორწინების, რაღაც მისი შეხედულებით სირცევილი და დამცირება მთელი გვარეულობის, რომ აზნაურმა ფერდინანდმა ვიღაც მიღლერის ქალიშვილს შეირთოს. პრეზიდენტს უნდა თავის შვილს შექოთოს მთავრის საყვარელი, რომ ამგვარი მოყვრობით შვილი სამსახურზე დაწინაუროს. თავისი მიზნის განსახორციელებლათ ის მიზარეას შემდგენ ხერხს. დაატუხადებს ლუიზას დედმამა, და ლუიზას გამოუცხადებს: შენი მშობლები სასტიკა დაისჯებიან, თუ მათი დახსნა და გადარჩენა გინდა, მიწერე გოფვარშალს კალბს წერილი, ვითომ შენ ის გიყვარს, და შემომფიცე, რომ ამ წერილის სიყალებს არსაც და არავითან არ გამეტავნებო. ლუიზა საშინელ ყოფანშია; მან არ იცის, რა ჰქნას, — და კარგოს ძვირფასი ფერდინანდი, თუ საყვარელი მშობლები. ბოლოს ის პირველ მსხვერპლს ამჯაბანებს და აძლევს პრეზიდენტის მიერ შეჩერილ პირს აღნიშნულ წერილს. ამ წერილს პრეზიდენტი ხელში ჩაუდებს თავის შეილს: ფერდინანდი რწმუნდება, რომ ლუიზა მას მხოლოდ ატყუებდა; ლუიზა კი აღთქმული ფიცის ძალით საქმის ნამდვილ გარემოებას ვერ ატყობიერ ფერდინანდს. ფერდინანდი ანებებს თავს ლუიზას; უკანასკნელი თავს იწაელავს და მხოლოდ სიკვდილის წინ ატყობიებს საქმის ყოველისფერს; ფერდინანდი სასოწარკენთილებაში თავს იკლავს. ამით თავდება პიესა. ჩვენი წერილების წამკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ შილლერის პიესები, მათი შიაგანი, ტეხნიკურ-ფისხოლოგიური მხარე კი არ გვაინტერესებს, არამედ ის აზრი, ის იდეები, რომლებიც პოეტს თავის პიესებში გაუტარებია. როგორც პიესა, „ლუიზა მიღლერი“, სუსტი ნაწარმოებია: იდეის მხრით ეს არის შილლერის ერთი საუკეთესო ნაწარმოები. როდესაც რომელიმე ქვემარიტება საზრავალოების კუთხინილებათ ხდება, მაშინ მის შეგნებას და აღიარებას არც დიდი ქუჯა უნდა, არც დიდი ცოდნა, არც არაჩვეულებრივი მოქალაქეობრივი გამძედაობა; მაგრამ მაშინ, როდესაც ქვეშ მარიტი აზრი ახლათ იბადება, როდესაც მას ჯერ კიდევ ცოტა ყავა მომხრე, მტერი კი ურიცხვი, მისისაჯაროთ იღიარება ხშირად არა არა თუ მნიშვნელოვანი და საფრთხილო, შეუძლებელიც ხდება. იგივე უნდა ითქვას შილლერის პიესის შესახებაც დღეს ჩვენშიც კი რომელიმე ფერდალი ხმა მაღლა ვეღარ აცხადებს: თავადის სისხლი სხვა არის გლეხის კი სხვაო, თუმცა გულში კი მაინც ღრმათ დარწმუნებულია ამაში. იმ დროს კი როდესაც შილლერი აღნიშნულ პიესას წერდა, მთელი საზრავალოებრივი წყობილება წოდებრივ ურთიერთობაზე იყო დამყარებული. ხმამაღლა თქმა იმისი, გლეხი და აზნაური ერთია, აღამიანი მხოლოდ იდამიანობით უნდა ფასდებოდეს. მნელი საქმე იყო. შილლერმა სწორეთ ეს გმოაცხადა თავის პიესაში. რას წარმოადგენს მთავარი შილლერის, პიესაში გარყვნილს მძოვრს, რომელიც მთელ სამთავროს თავის გარყვნილობისათვის ახხებებს; ინგლისელებს თავის ქვეშვერდო მებს ყიდის და აღებული ფულებით საყვარლებისათვის ძირ ფას სამკაულებს იდენს. თუ ვინმე ხმა აამაღლა ამგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, მას მყისვე დახერეტავენ. ამგვარ მთავარს გვერდში უდგია არისტოკრატია. ჩნეობით, მიმართ თულებით, ცხოვრებითა და ცხოვრების იღეალით ეს არის ტოკრატია სრული მსგავსებაა თავისი მთავრის. არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელია პრეზიდენტი ვალტერი

ზნეობა, მოვალეობა, სინიდისი, პატიოსნება ვალტერისათვის
სრულებით უცნობი ხილია. ყევლა ამგვარ პატიოსან გრძნო-
ბებს მისი უნება მოკლებულია. მისი ერთათ ერთი მიზანია საკუ-
თარი ბედნიერება; ამ მიზნის მისაღწევათ ის ისტორიასათვის ალექსან-
დრების არ ერიდება, თუ მისი ამაღლებისათვის უჭირა და უკუკუ-
საჭირო, ის დაუყოვნებლათ დალუბას, ოლონდ კი
დაწინაურდეს და კაცის მოკვლა ჩირათ არ ულის;
მისთვის ადამიანი მიზანი კი არ არის, არავედ მხო-
ლოთ უბრალო საშუალებაა თავისი პირადი მიზნის განხორ-
ციელებისა. მთავარს თავისი საყვარლის გათხოვება უნდა.
პრეზიდენტმა კარგათ იცის, რომ ის, ვინც მთავრის საყვა-
რელს შეირთავს, მთავარს დაუახლოვდება და მის წყალობას
დაიმსახურებს; რომ ეს წყალობა ხელიდან არგაუშვის, სხვის
არ დაანებოს, პრეზიდენტი ცდილობს, მთავრის ხასა რძლათ
მოყვანის და ამაში თავის დასამცირებელს სრულიათ ვერა-
ფერს ვერ ხედავს. თავის ხელვეეითან პრეზიდენტს არაფე-
რი არ აკაშირებს; დიდის წინაშე ის ქედს იხრის, პატარის
ტყავს აძრობს, უსამართლობაში სულს ართმევს; წაკუეულს
შველის მავიერ ფეხს აქერს. მთელი არისტოკრატია მხოლოდ
ამგვარ პირთაგან შედგება და ამგვარ-წოდება ხალხს ტაჯვი-
სა და უბედურების მეტს ვერაფერს ვერ მიცემს. აიღოთ პრე-
ზიდენტის შვილი ფერდინანდი. იდეალებით, მისწრაფებითა
და სისპატიით ეს ხალხს ეკუთვნის, მაგრამ ხორცით, სისხ-
ლით ას არისტოკრატია და ამ გახრწნილ და ზნეობრივათ
დამპალ წრეში აღზრდას მისთვის მავნე ელემენტების მეტი
არაფერი არ ურგუნებია, ფერდინანდია ისეთი პირი, რომელ-
ზედ უკეთესის მოცემა არისტოკრატის წრეს არ შეეძლო;
მაგრამ რამდენათ დაბლა დგას ის არა თუ ლუიზაზე, თვით
შილლერზედაც! ის პატიოსანია, ზნეობის დროშა მაღლა
უჭირას, დარწმუნებულია, რომ სისხლით აღამიანის დაფა-
სება ანახტონიჩმია, მაგრამ ამავე დროს, მას არა აქვს ხასია-
თის არავითარი სიმტკიცე, მას არ შეუძლია თავისი რწმენე-
ბი დაიცვას და რწმენებს თავი დავანებოთ, საკოლონი და-
ფარვაც კი ვერ მოუხერხებია და სულ უბრალო მიზეზი მის-
თვის საქმარისია, რომ საკოლოზე გული იყიდოს. მას რომ
შეძლებოდა, მარტო აზრით კი არა, გულითაც უარ-ეყო წო-
დებრივი წყობილება, ნაპოვნ წერილს არ ენდობოდა და
ხელს არ კრავდა ლუიზას; მაგრამ მიუხედავათ მისი გულ-
წრფელი სიყვარულისა მისი ბუნება მისი იდეალის წინააღმ-
დეგ განსხვავებას გრძნობდა თვისი თავისა და ლუიზას შო-
რის; ულურებდა უკანასკნელს, როგორც არისტოკრატი და
ამიტომ ყოველივე წვრილმანი მისთვის სხვილ საბუთათ ხდე-
ბოდა. სიყვარული ფერდინანდის მთელ არსების იმორჩილებს,
მას ავიწყდება მოვალეობაც კი, რაც შედეგია მისი არისტო-
კრატიული ბუნების. სულ სხვა გვარ ხალხს წარმოადგენს
დაბალი წრილი—მესამე წოდებიდან გამოიყელი მილლერი
და მისი ქარი. მათი მიზანია პატიოსანი ცხოვრება პატიო-
სანი შრომით. ცხოვრებაში და ადამიანის მოქმედებაში ისი-
ნი უპირველეს ჩნიშვნელობას მოვალეობისა და პატიოსნე-
ბის დაცვას აძლევენ. რაში მდგომარეობს მათის შეხედულე-
ბით მოვალეობა და პატიოსნება? სიყვარულში, თანაგრძნო-
ბაში, ერთმანეთის გატანაში, შრომაშა და სიტყვის ასრულე-
ბაში. მილლერი თავისი ოფლით არჩენს მთელ ოჯახს და
თავის პატიოსან შრომას არაფერზე არ გაცვლის; სიყვარუ-
ლი და ერთმნეთის გატანა ლუიზას იმდენათ აქვს ძელ-
რბილში გაშვიდარი, რომ თავის მშობლებს თავსა სწირავს.
სიტყვის აღსრულებას ლუიზა სიკვდილის კარამდე მიყავს,
მაგრამ ის მაინც არა სტებს დადებულ ფიც; „ფიცი ჩვენ-
თვის არაფერი არ არის, მაგრამ მაგათვის ყველაფერიაო“,
ტყუილათ კი არ ეუბნება ვურბი პრეზიდენტს. სხვისი შევიწ-

როება, სხვისი დატანჯვა, სხვისი პიროვნებისა და უფლებების შეღაწვა თუ არისტოკრიტიკის, წრეს ახასიათებს, მიღლერის წარმომშობი წრე ამგვარ თვისებებს სრულებრივ მოქლებულია. შილლერმა ერთი-მეორეს ღაუპირდაპირა ეს ორი წრე და მკითხველისა და მაყურებლისათვის აშეარაა, თუ სად არის ზნეობრივი ძალა, თუ რომელს მათგანს ეკუთნის მომვალი. არისტოკრატია შილლერის აზრით გადაგვარების გზას ადგია. თუ საუკეთესო მისი წევრი—ფერდინანდი ბევრათ ნაკლებია დაბალი წრის წარმომადგენლებზე, რაღაც უნდა ითქვას არისტოკრატის ტიპიურ წევრებზე? ისინი ყოველ-გვარ ღირსებას მუკლებული არიან. ყველა ის ღირსება, რომლებიც ადამიანს ამშვენებენ, თავმყრილია დაბალ წრეში, რომელსაც ეკუთნის მომავალი შილლერის ღრმა რწმენით. ამ პიესაში პოეტი-იდეალისტი გვერდში ამოუდგა ხალხს, და გმრა არისტოკრატია, წოდებრივი წყობილება და მასზე დამაკარებული იურიიოული და პოლიტიკური ნორმა და გამოცხადა: გაუმარჯოს შრომას, თანხმისწორობას და ადამიანობას.

არც ერთ თავის პიესაში შილლერს არ დაუხატავს სიძ-
პატიური მეფე ან მთავარი. ყველა მისი მეფეები, მთავრები
და მოწინავე წოდება მხოლოდ ხალხის მტანჯველი მტარვა-
ლები არიან. შილლერის ზოგიერთი მეფეები, როგორც კერ-
ძლ პიროვნება, კარგი არიან, მაგრამ როგორც მეფეები, რო-
გორც უფლებისა და ძალის წარმომადგენელნი, ყოველ-გვარ
აღამიანურ ღირსებას მოკლებული არიან. აქედან ერთათ-ერ-
თი დასკვნაა: ერთის მხრით მონარქია და მეორე მხრით ისე-
თი საზოგადოებრივი წყობილება, საღაც ერთი წოდების უფ-
ლება მეორისას აღემატება, ხალხისათვის მხოლოდ მაზარა-
ლებელია; შილლერი უარ-ყოფს ერთის მხრით მონარქიას და
მისი სიმპატია არის ისეთ პოლიტიკურ წყობილებისაკენ, სა-
დაც თვით ხალხია მეფე. თუ ბოლო დროს ამ თემაზე შილ-
ლერი ხმას აღარ იღებდა და თავის აზრს აღარ ამჟღავნებდა
უფრო იმიტომ, რომ ის დიდი პატივის მცემელი იყო ვეიმა-
რის, ჰერცოგისა, რომელიც მიუხედავათ თავისი ლიბერალიზ-
მისა, მაინც მთავარი იყო და ხალხის მეფობას სრულებითაც
არ თანაუგრძნობდა. მეორე მხრით შილლერი უარ-ყოფს
ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც სრულ თა-
ნასწორობაზე არ არის დამყარებული. „აღამიანი უნდა ადა-
მიანობით ფასდებოდეს მხოლოდ, აი ლუიზა მილლერის
ქეშმარიტი აზრი.

o. გომართელი

(“გემდევი იქნება”).

კასურათ ჩედაცილისაგან ს. ბერძნიანის გვა-
კვიდრებს.

განსვენებულ ს. ბერეჟიანის მემკვიდრეებს, როგორც „ივერიას“ №—დან შევიტყოთ, მედიატორეთ ბ. ი. ფანცხავა დაუნიშნებოთ. ჩვენ ჩვენი მხრით ვნიშნავთ მედიატორეთ ბ-ს ისიდორული მიზანის და ამთავროვე კატეგორიულათ ვთხოვდოთ მთელი განახენის და კამათ მასშენებული ფაქტებს აღნუსხვას და კამოჭვაუნებას საქმის დამთავრების შემდეგ.

ଖ୍ୟାତି-ପାଠୀମ୍ୟ. ୧୯. ଓ-ଶ୍ରୀରାଜଫଲେଖ.

გ ვ ნ ვ ხ ა ვ ე ვ ა ნ ი

କାନ୍ଦିକୀର୍ତ୍ତିରେ 22 ନାରୀମ୍ବର 1902 ଅନୁଷ୍ଠାନିକ
ବିଲାପିକାରୀଙ୍କ ଦାରୁଳାଚିଶି ସାହାରଗ୍ରେବଲୋଟ ଥେବା ଏକା-
ଟାତ-ମନ୍ଦିରରେ ସାଥେଲାବିନା ଘାମାଶିଖରେବେଳ କ୍ରମନିର୍ଣ୍ଣାନି-
ଲାଗିପାଇଯାଇବା କାହାରାତରାକିଲେ ମହାରାଜା-
ଲାଲବିଲେ କ୍ଷେତ୍ର, ଗାଢାରାତରୁଲ ପିନ୍ଧିବା

საბაზო

მუსიკალური და ლიტერატურული განერაციასთ
მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერალნი: მემუსიკენი
და მკითხველნი.

დაუკრავ კოდონიის მთწაფეთა მუსიკა. დაწრილებით აფიშებში. ითების ფასი ორი მანეტი და ორი შაულია. ყოველგვარი შემოწირულება დიდის პალიობით იქნება მიღებული.

კონცერტი დაიწყება 8½ საათზე. სადამც — 10 საათზე.

დიასახლისი საღამოისა ციხის ქალთა კომიტეტის თვე-

მჯდომარე ლ. სვერინისა. ბათუმის გადაწყვეტილების მომარწმინდას საჭიროა.

ების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედოვის ქ. №33) ა. პ. მირონოვითან და ა. ა. მაქსიმოვითან (სასამართლო პალატაში), ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ლოტის საკანდი-ტეროში და თბილისის „კრუუკუში“.

ଓঁ লোকনী 617

የኢትዮጵያ ገዢ

კვირას, 17 ნოემბერს 1902 წ.

თავ. ალ. ივ. სუმარათაშვილის პატივსაცემათ.

ქართული დრამატიკულის საზოგადოების დასის მიერ წარმო-
დგენილი ოქნება

କୂରମ୍ପିଲ୍ଲି

მონაწილეობის მიზრებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლევავა, ნ. რონელი; ბ-ნნი: ვ.იაბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გელევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

‘დგილების ფასი: ლოუები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტე-
რი 50 კ.-დან 1 გ. 50 კ.-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 80
კ.-დე; გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-დე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
დასაწევისი საფამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ „კოვერლეის მკვლელობა“, „მუშაკი და ნებიერი“, „მტერ-მოყვარე ძმები“.

ხთდებ შესხითბ, რადგან უდროვთ-დროს მოქმედების შეწვევის
შიესას ახდენს და მსხალ. თაც აკრძალულია აქვთ მოქმედების და-
რცფებამდე გამოსვლა თავის დასრულა.

რევისორი გ. გუნია.

იუსტიცია და გამოვა ნოემბერში 1903 წლის „საქართველოს კალენდარი“

ვ. გ უ ნ ი ა ს ი.

გამოც. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამორც. სისხლედფენის,
კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სერათათ, რო-
გორც ჩვენის, ისე უცხადთის ცხოვრებიდან. კალენდარში
მოთავსებული იქნება გარდა საკალენდრო ცნობებისა სალი-
ტერატურო განცხადებაც.

მიიღება განცხადებები კალენდარი დასაბეჭდოთ შემ-
დეგის პირობით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს — 10 გ., $1/2$ გვ. —
6 მან.; კალენდრის ბოლოში — 1 გვერდი — 7 მან., $1/2$ გვ.
— 4 გ., $1/4$ გვ. — 2 გ., მარტი თაღების გამოცხადება — 1 მან.

განცხადება მიიღება

ტფილის ქ. ქ. წერა-კათების გამორც. საზ. განცხადებაში.
ქუთასში — ვ. ბერინებიშვილის და მარტი თაღების გამოცხადება.
ბათუმში — მ. ნაკადაქესონის და ე. ჭედიშვილის.
ნოვენგრა გამოვა „ქართ. ვ. წ.-კითხ. გამორც. საზ. გამოც.

კერძოის კალენდარი.

თურილის კერძო სამკურნალო

გერევანიული კერძო

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინა ვერილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

სამდგრავო იუსტიცია უფასო დღე:

დ ი ღ ი თ:

გ. ა. ჭავანაშვილი — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
გ. ტ. მუღარი — ყურისა, უკლისა და ცხვირის 9—10.
გ. ბ. მადალაშვილი — შინაგან. სამუ. ხუთშ. და შაბა-
თობით 10—11.

დ. ა. გამოვეა — საშარდეს (ქირურგიული) ავაომუფა-
სათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 01
საათიდან 11-მდეს.

დ. ა. სხადშენაშვილი — კბილის სნეულებანი, 11—12.
გ. მ. ელიოზიშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედეგნიშვილი — შინაგანი, ნერვებისა და წმინ-
და ელექტრონით 12—1 ს.

გ. ა. მანეგეტოვა — შინაგანი, ნერვების, და ბავშვებისა
სამშაბ. და პარასკ. 1—2. კვრათობით — 9—11.

გ. გ. ბარსეულოვა — სნეულებანი, ორშაბათობით
ოთხშაბათობით და პარასკევით, 12—1.

გ. ა. ამბარდანიშვილი — სიფილისისა, კანისა და საშარდე-
სი 1—2.

გ. გ. სოლომოვა — ქირურგ. და ორტოპედიულის
ორშ. თოხუ. და პარასკ. 1—3.

ს ა ღ ძ ა თ ი თ :

ი. ბ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, ერთიანი ჯიში
ს. გ. მადალაშვილი — შინაგანი, ბავშვების თანამდებობის
აცრა, მიკრო ქიმიური გამოცხადების 5—6.

სამურნალოს აქც. საწოლი თახები. ფასი რჩევა-დარი-
გებისა 50 კაპ., მარტი ციფრი და კრაოტები. მორიგებით.

РУССКОЕ БОГАТСТВО

ИЗДАВАЕМОЕ

В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПРИЕМЪ ПОДПИСКИ НА 1903 ГОДЪ.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургъ и Москву 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскова ул., 9; Москва, Никитскія ворота, д. Гагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается под-
писька на полгода съ уплатой 5 р.—Книжные магазины, библио-
теки, земскія склады и потребительныя общества могутъ удер-
живать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каж-
даго годового экземпляра. Подписька на полгода отъ нихъ не при-
нимается.

Въ контору журнала „Русское Богатство“ [Спб., уг. Спасской и
Басковой ул. д. 1—9] поступили въ продажу Сочиненія Гле-
ба Успенского въ трехъ томахъ, съ портретомъ автора и
вступительной статьей Н. К. Михайловского. Изданіе Ф.
Ф. Павленкова 1897 и 1898 г. Цѣна каждаго тѣма 1 р. 50 коп.
Уступка 20 %. Пересылка на счетъ покупателей—посылкой,
бандеролью или товаромъ большой скорости.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА

НА

ежедневную газету политики, литературы и общественной
жизни

КУРЬЕРЪ

(V ГОДЪ ИЗДАНІЯ).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на 8 мѣсяц. 2 руб. на 2 мѣсяц. 1 руб. 40 коп. на
1 мѣсяц. 75 коп..

Для учащихся въ высшихъ учебн. заведеніяхъ на 1 м. 60 к.

Переходъ изъ годовыхъ подписчиковъ по разсрочки въ по-
лугодовые или на другіе сроки не допускается.

Прежніе подписчики, при возобновленіи подписчики, благо-
волять прилагать бандероль, чьль которой они уже получали
газету.

